ადამიანის უფლებები საქართველოში

2020

ადამიანის უფლებები საქართველოში

2020 წელი

შესავალი

GDI-ს მიერ მომზადებული წინამდებარე დოკუმენტის მიზანია 2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის მხრივ არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მოკლე მიმოხილვა. დოკუმენტში განხილულია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან, ასევე - კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული საკითხები.

ქვეყანაში როგორც კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების, ასევე - კანონის უზენაესობის დაცვის ხარისხის ინდიკატორს უპირველესად ინდივიდუალური საქმეები და მოვლენები წარმოადგენს, რომლებშიც ჩანს ხელისუფლების, ერთი მხრივ, ნება და, მეორე მხრივ, უნარი, შეასრულოს კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებები. დოკუმენტის დიდი ნაწილი სწორედ ინდივიდუალური საქმეების/მოვლენების მიმოხილვას ეთმობა.

2020 წელს საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ფონზე მომეტებულმა საპროტესტო ტალღამ კიდევ უფრო მეტად დაგვანახა ის პრობლემები, რომლებიც ქვეყანაში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებობს. თუკი 8 ნოემბერს ხელისუფლებამ ცესკო-სთან გამართული აქციის წყლის ჭავლით დაშლისას არ დაიცვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და მიმართა არაპროპორციულ ზომას, 9 ნოემბრის აქციის მონაწილეებს უკვე „დამკვიდრებული პრაქტიკით“ შეუშალა ხელი შეკრების თავისუფლების რეალიზაციაში, მათთვის შეშის ჩამორთმევით. 28 ნოემბრის აქციაზე ხელისუფლებამ კვლავაც ადმინისტრაციული დაკავების თვითნებურ პრაქტიკას მიმართა, 14 ნოემბერს კი სოფელ ჟონეთში გამართული მშვიდობიანი აქცია ძალისმიერად დაშალა, ნაცვლად ადგილობრივებთან დიალოგის წარმართვისა.

2020 წელს კვლავაც გამოწვევას წარმოადგენდა გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა. GDI უკვე ერთ წელზე მეტია შეშფოთებით აკვირდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში განვითარებულ პროცესებს. 2020 წელს არაერთმა გარემოებამ გაამყარა ეჭვები იმის თაობაზე, რომ ეს პროცესები პოლიტიკურადაა მოტივირებული და არხის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მოშლას ისახავს მიზნად. მიმდინარე წელს მედიის თავისუფლებაში ჩარევის კუთხით ასევე საყურადღებოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის” ეთერში გასულ სიუჟეტზე საბოტაჟის მუხლით გამოძიების დაწყება, TV პირველის დამფუძნებლის მამის მიმართ შესაძლო მუქარა და ბავშვის უფლებათა კოდექსში და „მაუწყებლობის შესახებ” კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არათანაზომიერად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

მიმოსვლის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ GDI გეგმავს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს 2020 წლის 2 სექტემბერს შემოღებული რეგულაცია, რომლითაც **საქართველოს მოქალაქეებს არაკონსტიტუციურად ეზღუდებათ შენგენის ზონაში შესვლის მიზნით საქართველოს დატოვება.**

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები წარმოადგენდა, რომელიც სერიოზული ხარვეზებით წარიმართა. ეს დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს იმ დარღვევებს, რომლებსაც 31 ოქტომბრის არჩევნებისას ჰქონდა ადგილი, ასევე - იმ პრობლემებს, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოში საჩივრების განხილვისას გამოვლინდა. სამწუხაროდ, დარღვევების ხასიათითა და მასშტაბურობით, ამ არჩევნებმა ქვეყანა მნიშვნელოვნად დახია უკან დემოკრატიული განვითარების გზაზე და შექმნა მწვავე პოლიტიკური კრიზისი, რაც თავისთავად ზიანის მომტანია ქვეყნის ინტერესებისთვის.

საქართველო კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას თანასწორობის უფლებისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ხელისუფლების მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია საპატრიარქოსთვის პრივილეგიების მინიჭებით პოლიტიკური სარგებლის მიღება. კომენდანტის საათიდან გამონაკლისის, მხოლოდ 6-7 იანვრის (შობის) ღამეს დაშვებით კი კვლავ ცხადი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლება რელიგიურ უმცირესობებს უმრავლესობის თანასწორუფლებიან სუბიექტებად არ განიხილავს. თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით, ასევე, აღსანიშნავია ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რესტავრაციის გარშემო განვითარებული პროცესები, რომლის გამწვავების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიის პირობებში იმატა ქსენოფობიურმა განცხადებებმა, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია.

წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს პანდემიასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომელთა განხილვა და ანალიზი დეტალურადაა წარმოდგენილი GDI-ს და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევაში. თუმცა, **დოკუმენტში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა 2020 წელს საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობის შესამჩნევ ვარდნას და სამართლიანი სასამართლოს უფლების კუთხით არსებულ გამოწვევებს.**

საგანგაშოა, რომ ნაცვლად გიორგი რურუას სახით პოლიტპატიმრის გათავისუფლებისა, 2020 წელს ვიხილეთ ახალი პოლიტიკური პატიმრები ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას სახით. ასევე, საფუძვლიანი ეჭვები არსებობს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალების საქმეზე აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის დაკავების პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. 2020 წლის გახმაურებულმა საქმეებმა კი კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საგამოძიებო ორგანოებში კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემებია დანაშაულის პრევენციასთან და მის სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით.

შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ბოლო წლებში შეიმჩნევა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. 2020 წელს გამოვლენილი დარღვევები ამ ტენდენციის სამწუხარო გაგრძელებაა,** რომელიც უფრო მეტად გვაშორებს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს იდეალს და კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას.

ვიმედოვნებთ, ეს დოკუმენტი ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით არსებული პრობლემების გააზრებას, რაც მათი გადაჭრის აუცილებელი წინაპირობაა.

1. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

1.1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ გამართული აქცია

2020 წლის 8 ნოემბრის ღამეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ საპარლამენტო არჩევნების შედეგების საწინააღმდეგო აქცია სპეციალური დანიშნულების რაზმმა წყლის ჭავლით დაშალა[1]. სპეციალური დანიშნულების რაზმმა წყლის ჭავლი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოიყენა, რითაც შელახა დემონსტრაციის მონაწილეთა შეკრების თავისუფლება. კერძოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წყალსატყორცნის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღკვეთის ან სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე თავდასხმის მოგერიების მიზნით[2], პროპორციულობის დაცვით და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას[3]. ამასთანავე, პოლიციელი ვალდებულია არ გამოიყენოს გაუმართლებელ რისკთან დაკავშირებული სპეციალური საშუალება[4], წყალსატყორცნის გამოყენებამდე კი - წინასწარ გააფრთხილოს პირი და მისცეს გონივრული ვადა კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად[5]. პოლიციამ არც ერთი მითითებული ვალდებულება არ შეასრულა. დემონსტრაცია მთლიანობაში მშვიდობიანი იყო და ადგილი არ ჰქონია არც მართლწესრიგის მასობრივ დარღვევას და არც ცესკოს შენობაზე თავდასხმას[6]. ასევე, წყლის ჭავლის პირველად გამოყენებამდე სამართალდამცავებმა არ მიმართეს უფრო მსუბუქ საშუალებას[7], აქციის მონაწილეები არ გააფრთხილეს წინასწარ და არ მისცეს არც გონივრული ვადა[8]. შესაბამისად, წყლის ჭავლის გამოყენება იყო არაკანონიერი და

---

[1] იხ: https://bit.ly/2HyqpVo [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[2] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

[3] იქვე, 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[4] იქვე, 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[5] იქვე, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[6] იხ: https://www.gdi.ge/ge/news/statement-09-11-2020.page https://emc.org.ge/ka/products/emc-moutsodebs-shss-s-dauqovnebliv-shetsqvitos-sapolitsio-dzalis-gamoqeneba-mshvidobiani-shekrebis-monatsileebis-tsinaaghmdeg [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[7] იხ: https://emc.org.ge/ka/products/emc-moutsodebs-shss-s-dauqovnebliv-shetsqvitos-sapolitsio-dzalis-gamoqeneba-mshvidobiani-shekrebis-monatsileebis-tsinaaghmdeg [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[8] იხ: https://www.gdi.ge/ge/news/statement-09-11-2020.page https://emc.org.ge/ka/products/emc-moutsodebs-shss-s-dauqovnebliv-shetsqvitos-sapolitsio-dzalis-gamoqeneba-mshvidobiani-shekrebis-monatsileebis-tsinaaghmdeg [ბოლო ნახვა 28.11.2020].

არაკონსტიტუციური. აღსანიშნავია, რომ შედეგად რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ჟურნალისტი დაშავდა.[9]

1.2. 9 ნოემბრის აქცია

2020 წლის 9 ნოემბერს პარლამენტის წინ გაიმართა კომენდანტის საათის საწინააღმდეგო აქცია[10]. ხელისუფლებამ აქციის მონაწილეებს არ მისცა საშუალება, პარლამენტის წინ მიეტანათ შეშა, რომელიც მათ გასათბობად სჭირდებოდათ[11]. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის, ვაჟა სირაძის განმარტებით, შეშის მიტანა სამართალდამცავებმა იმიტომ არ დაუშვეს, რომ მას შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა მოქალაქეებისა და პოლიციელების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის[12]. ეს არგუმენტი მიუღებელია, რადგან შეშა არ წარმოადგენს ისეთ საგანს, რომელზეც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს. ამ ნორმის „ა“ ქვეპუნქტი მართალია კრძალავს ადვილადაალებადი ნივთიერების თან ქონას შეკრებაზე, მაგრამ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში იგი გულისხმობს არა შეშას, არამედ იმ ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს შეკრებისას ზიანის მისაყენებლად, მაგ: ბენზინი[13]. შეშაზე ვერც ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გავრცელდება, რადგან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა ეხება თავისთავადი საფრთხის შემცველ ნივთებს და ისეთ შემთხვევას, როცა შეკრების მონაწილის ქმედება ქმნის ნივთით ადამიანთა დაზიანების საფუძვლიან ეჭვს[14]. შეშა არც თავისთავადაა საფრთხის შემცველი და არც 9 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს არ შეუქმნიათ საკუთარი ქმედებებით შეშით დაზიანების საფუძვლიანი ეჭვი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე პოლიციამ დააკავა სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც შეშის მიტანას ცდილობდნენ, მოგვიანებით სასამართლომ კი ორ დაკავებულს ჯარიმა, ერთს კი 3 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა სამართალდარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე[15]. სამივე დაკავებულის ინტერესებს სასამართლოში GDI იცავდა. გარდა ამისა, 9 ნოემბრის აქციის სხვა მონაწილეები პოლიციამ კომენდანტის საათის გამო 2000 ლარით დააჯარიმა[16]. მართალია, ზოგიერთ მონაწილეს, რომელიც აქციასთან ახლოს ცხოვრობდა, პოლიციის თანამშრომლებმა აქციის დატოვების შესაძლებლობა მისცეს, მაგრამ სხვა თანამშრომლებმა ისინი მაინც დააჯარიმეს, რადგან, მათი თქმით, აქციის ტერიტორიაზე

---

[9] იხ: https://www.gdi.ge/ge/news/statement-09-11-2020.page https://bit.ly/363eZlT https://formulanews.ge/News/39364 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[10] იხ: https://droa.ge/?p=91102 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[11] იხ: https://mtavari.tv/news/22345-politsiam-dakavebebi-daicqo-dakavebulia-3 https://droa.ge/?p=91102 https://mtavari.tv/news/22342-sirtskhvilias-cevrebs-ghamis-gasatevad-gamzadebul [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[12] იხ: https://droa.ge/?p=91114 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[13] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ. 7, 10, 11

[15] იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/30943142.html [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[16] იხ: https://bit.ly/33O5ENg [ბოლო ნახვა 06.12.2020].

აღარ იმყოფებოდნენ[17]. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც აქციის მონაწილეებს ხელი შეეშალათ შეკრების ადგილას შეშის მიტანაში. 2019 წლის ნოემბერში რუსთაველზე გამართული აქციის მონაწილეებს ასევე ჩამოართვეს შეშა, რაც სახალხო დამცველმა მაშინ შეკრების უფლების უკანონო შეზღუდვად შეაფასა[18]. აქტივისტებისთვის შეშის ჩამორთმევის უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა და მათი თვითნებური დაკავება კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ხელისუფლების მხრიდან შეკრების თავისუფლების ხელშეშლის სურვილს. ეს აგრეთვე მიუთითებს პოლიციისა და სასამართლოს ინსტრუმენტად გამოყენებაზე კრიტიკული აზრის ჩასახშობად[19].

1.3. 28 ნოემბრის აქცია

ადმინისტრაციული დაკავებების ნათელი მაგალითია აქტივისტების დაკავება 28 ნოემბრის. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლების შეხვედრას, კონკრეტულად კი რუსული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც 2019 წლის 20 ივნისის დემონსტრაციას ქართველი ნაციონალისტების ანტირუსული პროვოკაცია უწოდა[20]. აქტივისტები პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის საფუძვლით მაშინ დააკავეს, როდესაც აქციის სხვა მონაწილეები პარლამენტთან განთავსებულ რკინის კედელზე საპროტესტო წარწერების დატოვებას ცდილობდნენ[21]. დაკავებულების განცხადებით ისინი აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში არ იღებდნენ და მათ არ ჩაუდენიათ რაიმე უკანონო ქმედება.[22] აქტივისტების დაკავება, ადმინისტრაციული დაკავების ზეამოაღნიშნული თვითნებური პრაქტიკის გათვალისწინებით, აჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლება ამჯერადაც ცდილობს კრიტიკული აზრის რეპრესიას და ამისათვის არაკონსტიტუციურად ზღუდავს შეკრების თავისუფლებას.

1.4. სოფელ ჟონეთში გამართული აქცია

2020 წლის 14 ნოემბერს ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ სოფელ ჟონეთში აქცია გაიმართა[23]. ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვდა სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მშენებლობა მიმდინარეობდა კომპანიისა და სახელწიფოს მიერ გარემოზე ჰესების ზემოქმედებისა და რისკების გამოკვლევის გარეშე. ისინი სწორედ ჰესებიდან მომდინარე რისკებისა და მათი შეუფასებლობის გამო გამოხატავდნენ პროტესტს და მოითხოვდნენ ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებთან შეხვედრას, მაგრამ, დიალოგის გამართვის ნაცვლად, ხელისუფლებამ აქცია პოლიციის გამოყენებით დაშალა[24]. შედეგად, რამდენიმე

---

[17] იქვე.

[18] იხ: https://bit.ly/3ozqNDb https://netgazeti.ge/news/409228/ https://bit.ly/3gj9vXV [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[19] ანგარიში „გამოხატვის თავისუფლება საქართველოში“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2020, გვ. 35, იხ: https://www.gdi.ge/uploads/other/1/1078.pdf [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[20] იხ: https://reginfo.ge/politics/item/20213-parlamenttan-aqziaze-ori-adamiani-daakaves https://mtavari.tv/news/24308-parlamenttan-sagareostan-namgali-uro-dakhates [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[21] იქვე.

[22] იხ: https://mtavari.tv/news/24329-parlamenttan-mimdinare-aktsiaze-dakavebuli https://mtavari.tv/news/24330-karasini-abashidzis-pormati-aktivistebi-aktsiebis [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[23] იხ: https://bit.ly/3q4ogm2 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[24] იქვე.

დემონსტრანტი დაშავდა[25]. აქციის დაშლასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ სახელმწიფომ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას[26]. აღნიშნულის საპირისპიროდ, მშვიდობიანი პროტესტის ძალისმიერი გზით ჩახშობა, სამწუხაროდ, მიუთითებს, რომ ხელისუფლებას არ აინტერესებს ადგილობრივებთან მოლაპარაკება და მათი პოზიციის მოსმენა.

2. გამოხატვის და მედიის თავისუფლება

2.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

2020 წელს მედიის თავისუფლებაში ჩარევის კუთხით განსაკუთრებით შემაშფოთებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში განვითარებული პროცესები. ჯერ კიდევ 2019 წლის აპრილიდან არსებობდა ეჭვი არხის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მოშლის თაობაზე[27], როცა მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა აჭარის ტელევიზიის გენერალურ დირექტორს, ნათია კაპანაძეს.[28] იმპიჩმენტის ინიციატივას იმთავითვე მოჰყვა არასამთავრობო ორგანიზაციების უარყოფითი რეაქცია.[29]

2019 წლის 4 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებმა განცხადება გაავრცელეს და ახალარჩეულ დირექტორს, გიორგი კოხრეიძეს მოუწოდეს, შეეწყვიტა დაუსაბუთებელი ბრალდებები, თვალთვალი, შანტაჟი, თანამშრომლებზე თავდასხმა და მათი დისკრედიტაცია.[30] არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2020 წლის განმალობაში გამოკვეთეს არაერთი გარემოება, რომელიც აჭარის მაუწყებელში განვითარებული პროცესების პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მაუწყებლიდან თანამშრომლების გათავისუფლების და მათი დევნის/შევიწროების ფაქტები.[31]

მნიშვნელოვანია ამ პროცესში სახალხო დამცველის ჩართულობა, რომელმაც არაერთი დარღვევა გამოავლინა.[32] აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების მიმართ შესაძლო დევნის ფაქტებზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.[33]

---

[25] იხ: https://bit.ly/2JgnZuY https://bit.ly/3q4ogm2 [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[26]იხ: https://netgazeti.ge/news/500552/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[27] იხ. https://gdi.ge/ge/news/media-koalicia-14-02-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[28] იხ. https://bit.ly/36gbicU [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[29] იხ. https://gdi.ge/ge/news/acharis-televizia.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[30] იხ. https://ajaratv.ge/article/52428 [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[31] იხ. https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/80235-koalicia-media-advokatirebisathvis-atcaris-sazogadoebriv-mautsyebelshi-ganvitharebul-procesebs-afasebs [ბოლო ნახვა 28.11.2020]; იხ. https://gdi.ge/ge/news/mediakoalicia-31-07-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[32] იხ. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-acharis-televiziis-direktors-mautsqeblis-qofili-da-mokmedi-tanamshromlebis-shromiti-uflebebis-aghdgenis-taobaze-rekomendatsiit-mimarta [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[33] იხ. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/tsinadadeba-acharis-televiziis-tanamshromlebis-mimart-gankhortsielebul-savaraudo-danashaulebriv-faktze-gamodziebis-datsqebis-shesakheb [ბოლო ნახვა 28.11.2020].

2.2. ტელეკომპანია „მთავარი არხის" სიუჟეტზე საბოტაჟის მუხლით გამოძიების დაწყება და სავარაუდო მუქარა TV პირველის დამფუძნებლის მამის მიმართ

2020 წელს მედიის თავისუფლებაში ჩარევის კუთხით კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის" ეთერში გასულ სიუჟეტზე საბოტაჟის მუხლით გამოძიების დაწყება.[34] აღნიშნულს მალევე მოჰყვა კრიტიკული შეფასება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.[35] კოალიციის „მედიის ადვოკატირებისთვის" გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია: „იმ პირობებში, როდესაც აშკარაა კონკრეტულად ტელეკომპანია „მთავარი არხის" მიმართ ხელისუფლების უარყოფითი განწყობა (მაგალითად, სახელმწიფო თანამდებობის პირები საჯაროდ უცხადებდნენ ბოიკოტს არხს) და როდესაც საქართველო არაერთხელ მოხვდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დეზინფორმაციისა და ყალბი ანგარიშებით ანტიდასავლური პროპაგანდის ფაქტების სიმრავლის გამო, განსაკუთრებით შემაშფოთებელია, სუს-ის მიერ „მთავარ არხზე" გასული სიუჟეტის „საბოტაჟად" შეფასება. აღნიშნული ქმედება, რეპრესიული მექანიზმის შერჩევითად გამოყენების შთაბეჭდილებას ქმნის."[36]

2020 წლის 21 ოქტომბერს TV პირველის დამფუძნებლის, ვახტანგ წერეთლის მამამ, ავთანდილ წერეთელმა განაცხადა, რომ მას უცნობი პირები დახვდნენ და დაემუქრნენ: „თუ არ გაჩერდება შენი ტელევიზია, მოგივლითო".[37] ვახტანგ წერეთელმა აღნიშნული მმართველ პარტიას დაუკავშირა.[38] მსგავი ფაქტი შემაშფოთებელია და სულ მცირე მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ ასრულებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას გამოხატვის და მედიის თავისუფლება.

2.3. ბავშვის უფლებათა კოდექსში და „მაუწყებლობის შესახებ" კანონში დამატებული ცვლილებები

2020 წლის 1 სექტემბერს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონსა და „ბავშვის უფლებათა კოდექსში" ამოქმედდა ახალი დებულებები. შედეგად მაუწყებელს დაეკისრა ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან არასრულწლოვნის დაცვის ვალდებულება[39] და აეკრძალა ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში ისეთი მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასწრულწოვნის სოციალიზაციას ან/და ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას[40]. ამასთავე, მაუწყებელს დაევალა გამოიყენოს პროგრამათა კატეგორების დამდგენი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღრავენ არასრულწლოვანთა

---

[34] იხ. https://ssg.gov.ge/news/610/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[35]. იხ. https://gdi.ge/ge/news/statement-03-07-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[36] იხ. https://gdi.ge/ge/news/koalicia-mediis-advokatirebistvis-gancxadeba.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[37] იხ. https://publika.ge/savaraudo-muqara-tv-pirvelis-damfudzneblis-mamaze-gamodzieba-da-shefasebebi/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[38] *იქვე*

[39] ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის 1-ლი პუნქტი.

[40] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისთვის შეუფერებელ პროგრამას[41]. მაუწყებლებს აეკრძალათ ასეთი პროგრამების კონკრეტულ საათობრივ ბადეში განთავსება[42], ხოლო ამ ვალდებულებების დარღვევისათვის სანქციად დადგინდა ჯარიმა, განმეორებითი დარღვევისას - ლიცენზიის შეჩერება[43].

ზემოაღნიშნული ნორმები, GDI-ის წარმომადგენლობით, გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.[44] ეს დებულებები არაკონსტიტუციურად ზღუდავს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ უფლებებს. კერძოდ, სადავო ნორმები შინაარსობრივად არეგულირებს მაუწყებლის გამოხატვას და ინფორმაციის გავრცელებას/მიღებას, რადგან უთითებს, რა შინაარსის პროგრამის/მასალის განთავსება არის დაუშვებელი[45]. შესაბამისად, მათ საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილია დაადგინოს, რომ კონკრეტული პროგრამა/მასალა დაუშვებელია. შედეგად მაუწყებელი პროგრამის შინაარსის განსაზღვრა დამოკიდებული ხდება კომისიაზე, რაც ეწინააღმდეგება ცენზურის აბსოლუტურ აკრძალვას[46]. ამასთანავე, ზემოაღნიშნული დებულებები არღვევს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას[47], რადგან შეიცავს ბუნდოვან ტერმინებს („შეურაცხმყოფელი ლექსიკა", „უხამსი ქმედება" და ა.შ), რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრა მხოლოდ კომისიას შეუძლია და შედეგად მაუწყებელი მოკლებულია შესაძლებლობას, განჭვრიტოს მისი პროგრამის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამასთანავე, ტერმინთა ფართო ინტერპრეტაციის მეშვეობით კომისიის მიერ მაუწყებლის კონტენტის შინაარსობრივი კონტროლი უტოლდება პარლამენტის მიერ კომისიისთვის გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების დელეგირებას, რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, არაკონსტიტუციურია[48]. ამასთან, შეზღუდვა არათანაზომიერია, რადგან, სასამართლოს განმარტებით, მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციისგან დაცვა უპირატესად მშობლის პასუხისმგებლობაა და გამოხატვა არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი გამაღიზიანებელი ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელია[49].

---

[41] ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56^1 მუხლის მე-4 პუნქტი და 56^2 მუხლი.

[42]ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56^1 მუხლის მე-5 პუნქტი.

[43] მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლი.

[44] იხ. საქმე N 1537 https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10119 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[45] საქართველოს საკონსტიტუციო 2019 წლის 2 აგვისტოს 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II პ. 36.

[46] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II პ.22.

[48] საქართველოს საკონსტიტუციო 2019 წლის 2 აგვისტოს 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II პ. 38, 39.

[49] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II პ. 7.

3. მიმოსვლის თავისუფლება

3.1. საქართველოს მოქალაქეებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების გამკაცრება

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში 2020 წლის 2 სექტემბრის ცვლილებით დადგინდა, რომ 2021 წლის იანვრიდან სასაზღვრო პოლიციას შეეძლება საქართველოს მოქალაქეებს აუკრძალოს შენგენის ზონაში შესვლის მიზნით საქართველოს დატოვება, თუ სახეზე იქნება კანონში მითითებული რომელიმე გარემოება, მაგალითად თუ მოქალაქე არ წარადგენს სამოგზაურო დაზღვევას.[50]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება არის გადაადგილების თავისუფლების (საქართველოდან გასვლის უფლების) არაკონსტიტუციური შეზღუდვა, რადგან არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არაპროპორციულია და ეწინააღმდეგება კანონის ხარისხის მოთხოვნებს. კერძოდ, კონსტიტუცია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად ასახელებს მართმლსაჯულების განხორციელებას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას. აღნიშნულ მიზნებს შორის ვერ მოვიაზრებთ საკანონმდებლო ცვლილების მიზანს - ევროკავშირის/შენგენის ზონაში იმ მოქალაქეთა გადინების შემცირებას, რომლებიც უვიზო რეჟიმს ბოროტად იყენებენ[51]. აღსანიშნავია, რომ სავიზო/საემიგრაციო რეჟიმის დარღვევის პრევენცია ევროსასამართლომაც არ მიიჩნია საკმარისად გადაადგილების თავისუფლების შესაზღუდად[52]. გარდა ამისა, შეზღუდვა არათანაზომიერია, რადგან არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რითაც ლახავს ადამიანის ღირსებას. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებს იყენებს მიზნის მიღწევის საშუალებად - შენგენის წესების დარღვევის აცილების მიზნით, კონკრეტული ინდივიდების მიერ ამ წესების შესაძლო დარღვევის გამო, მოქალაქეებს „სჯის“ მათთვის ზოგადი პრევენციული შეზღუდვის დაწესებით, ადამიანის ასეთი ობიექტივიზაცია კი არაკონსტიტუციურია[53]. ამასთანავე, გადადგილების თავისუფლების „კანონის შესაბამისად“ შეზღუდვა[54] ნიშნავს, რომ თავად კანონმა ხელისუფლებას უნდა დაუდგინოს შეზღუდვის უფლებამოსილების მკაფიო ფარგლები[55]. ამ სტანდარტს ემხრობა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, რომლის მიხედვით, კანონმა არ უნდა მიანიჭოს აბსოლუტური დისკრეცია იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ შეზღუდვის აღსრულება[56]. ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ,

---

[50] „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2 სექტემბრის 7069-Iს კანონის 1-ლი მუხლი, იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4978736?publication=0 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[51] იხ: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/188825 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Case of Stamoese v. Bulgaria“, § 36, 37.

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ. 11, 52.

[54] საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II პ.22.

[56] CCPR General Comment No. 27: Article 12 (Freedom of Movement) adopted at the Sixty-seventh session of the Human Rights Committee on 2 November 1999, CCPR/C/21/Rev.1/Add.9, § 12, 13.

საკანონმდებლო ცვლილება შინაგან საქმეთა მინისტრს ისე ანიჭებს სახელმწიფო საზღვრის კვეთის წესის დადგენის უფლებამოსილებას[57], რომ საერთოდ არ განსაზღვრავს ამ უფლებამოსილების გამოყენების კრიტერიუმებსა და ფარგლებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იგი არაკონსტიტუციურია. აღნიშნული ცვლილებების გასაჩივრებას GDI საკონსტიტუციო სასამართლოში აპირებს.

4. საარჩევნო უფლება (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები)

2020 წელს გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ქვეყნის საარჩევნო სისტემა დაუახლოვდა პროპორციულს და გაჩნდა იმის იმედი და შესაძლებლობა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდებოდა უფრო მრავალპარტიული და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო. სამწუხაროდ, საპარლამენტო არჩევნებმა ეს მოლოდინი ვერ გაამართლა, ვინაიდან მან ჩაიარა სერიოზული ხარვეზებით, რომლებიც სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოავლინეს[58]. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის შემთხვევები, როდესაც ბიულეტენების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი იყო[59]. ასეთი დისბალანსი საარჩევნო უბნების 8%-ზე დაფიქსირდა, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია ბოლო წლების განმავლობაში[60]. გარდა ამისა, საყურადღებოა შემდეგი ხარვეზებიც[61]:

- არჩევნების პროცესზე დაკვირვებისთვის ხელის შეშლა, მაგალითად, დამკვირვებლების მიმართ აგრესიისა და ფიზიკური შეურაცხყოფის სახით;
- ხმის მიცემის წესების, მათ შორის ფარულობის და მარკირების წესის დარღვევა;
- ამომრჩეველთა ნების გამოხატვის კონტროლი, მაგალითად, მათი დაშინებით;
- ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვა;
- ცესკოს მიერ პირველადი წინასწარი შედეგების გამოქვეყნების გაჭიანურება.

აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიებს შემაჯამებელი ოქმების გაბათილებისა და შედეგების

---

[57] „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2 სექტემბრის 7069-IIს კანონის 1-ლი მუხლი, იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4978736?publication=0 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[58] იხ: https://transparency.ge/ge/post/2020-clis-31-oktombris-saparlamento-archevnebis-dakvirvebis-shedegebis-shejameba https://gyla.ge/ge/post/2020-tslis-31-oqtombris-saparlamento-archevnebis-shefaseba#sthash.0qTukqz5.dpbs https://osgf.ge/ghia-sazogadoebis-fondi-archevnebis-shemdgom-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[59] იხ: http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/201101022808khmebis-paraleluri-datvlis-PVT-shedegebi https://gyla.ge/ge/post/2020-tslis-31-oqtombris-saparlamento-archevnebis-shefaseba#sthash.shAT77VS.oK04Cquj.dpbs [ბოლო ნახვა 08.12.2020]

[60] http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/201101022808khmebis-paraleluri-datvlis-PVT-shedegebi

[61] იხ: https://transparency.ge/ge/post/2020-clis-31-oktombris-saparlamento-archevnebis-dakvirvebis-shedegebis-shejameba https://gyla.ge/ge/post/2020-tslis-31-oqtombris-saparlamento-archevnebis-shefaseba#sthash.0qTukqz5.dpbs https://osgf.ge/ghia-sazogadoebis-fondi-archevnebis-shemdgom-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

გადათვლის მოთხოვნით მიმართა[62]. საჩივრების უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა[63], ხოლო მათი განხილვის პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა. საოლქო საარჩევნო კომისიები საჩივრების განხილვაზე ისეთი ფორმალური მიზეზით ამბობდნენ უარს, როგორიცაა დამკვირვებლების მიერ მინდობილობის არქონა[64]. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში საჩივრები განუხილველი დარჩა მინდობილობის წარმოდგენის მიუხედავად[65]. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებოდა დაუსაბუთებლად, საოლქო საარჩევნო კომისიები ყოველგვარი გადამოწმების გარეშე ეყრდნობოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებს, არ ხსნიდნენ დალუქულ დოკუმენტაციას და არ იკვლევდნენ ფაქტებს[66]. შესაბამისად, საარჩევნო კომისიების რეაგირება იყო არაეფექტური, ისევე როგორც საერთო სასამართლოების მიერ საარჩევნო კომისიებთან და შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა. სარჩელების უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა[67], ხოლო განხილვის პროცესში, სამწუხაროდ, დაფიქსირდა უარყოფითი ტენდენციები, როგორებიცაა კომისიების სასარგებლოდ სასამართლოების მიკერძოებულობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების შაბლონურობა და დაუსაბუთებულობა[68].

საბოლოოდ, საპარლამენტო არჩევნები წარიმართა სერიოზული დარღვევებით, რამაც საზოგადოებაში არჩევნების გაყალბების საფუძვლიანი ეჭვი და პროტესტი გააჩინა. როგორც არჩევნების მიმდინარეობა, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოში გამართული პროცესები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს და საარჩევნო უფლებას. დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპისა და სახალხო სუვერენიტეტის პრაქტიკული რეალიზებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს გამართულ საარჩევნო სისტემას, ანუ იმას, თუ როგორ ტარდება არჩევნები, რადგან სწორედ არჩევნების გზით მონაწილეობს ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში და ანიჭებს ხელისუფლებას ლეგიტიმაციას[69]. აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნების საპირისპიროდ, წლევანდელი არჩევნები

---

[62] იხ: https://gyla.ge/ge/post/saia-saolqo-saarchevno-komisiebshi-sachivrebis-gankhilvis-process-ajamebs#sthash.ox55weQr.dpbs https://transparency.ge/ge/post/saolko-saarchevno-komisiebi-sachivrebs-ganxilvis-gareshe-toveben http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-saarchevno-ubnebis-gadatvlis-motkhovnit-tsardgenili-sachivrebi [ბოლო ნახვა 08.12.2020]

[63] იქვე.

[64] იხ: http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-saarchevno-ubnebis-gadatvlis-motkhovnit-tsardgenili-sachivrebi [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[65] იხ: https://transparency.ge/ge/post/saolko-saarchevno-komisiebi-sachivrebs-ganxilvis-gareshe-toveben [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[66]იხ: http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-saarchevno-ubnebis-gadatvlis-motkhovnit-tsardgenili-sachivrebi https://gyla.ge/ge/post/saia-saolqo-saarchevno-komisiebshi-sachivrebis-gankhilvis-process-ajamebs#sthash.ox55weQr.dpbs [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[67]იხ: https://gyla.ge/ge/post/saia-s-saarchevno-davebis-shedegebi-sasamartloshi-gasachivrebul-ubnebze#sthash.Mz0hg2af.dpbs http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-sasamartloshi-tsardgenili-sarchelebis-gankhilvis-shedegebi [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[68] იქვე.

[69] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ. 2, 3, 4.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია.

5. თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება

5.1. საქართველოს საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემა

2020 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ცვლილებები შეიტანა სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში[70], ასევე - მიიღო ახალი „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს (გარდა რამდენიმე მუხლისა).[71] აღნიშნული ცვლილებების თანახმად, 1 იანვრიდან შესაძლებელი ხდება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის მიერ განაცხადის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობით, საკუთრებაში გადაეცეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობები (თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტრისა), აგრეთვე - მიჩენილი ტერიტორიები (მასში იგულისხმება ტყის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, თუმცა, მასთან ერთად მას საქართველოს საპატრიარქო მართავს[72]). მსგავსი შესაძლებლობით სხვა რელიგიური გაერთიანებები ვერ ისარგებლებენ.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული ამ პრივილეგიით სახელმწიფო, კიდევ ერთხელ, უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობის უფლებასა და სეკულარიზმის პრინციპს. ის, რომ ზემოთ განხილული ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე და თანაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელდა, დამატებით მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს საპატრიარქოსთვის პრივილეგიების მინიჭებით პოლიტიკური სარგებელი ნახოს, რაც აქამდეც არაერთხელ გაუკეთებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს ცვლილებები მიიღო მაშინ, როდესაც ქვეყანა უკვე COVID-19-ით შექმნილი გამოწვევების წინაშე იდგა. ამ დროს კი, ადამიანის უფლებების მზღუდავი მთელი რიგი ღონისძიებების შემოღების პროცესის კონსტიტუციის ჩარჩოებში წარმართვისთვის, მნიშვნელოვანი იყო მასში პარლამენტის სათანადო ჩართულობა. საკანონმდებლო ორგანო, ნაცვლად აღნიშნულზე ფართო დისკუსიის წარმოებისა და პროცესში აქტიური ჩართულობისა, დაკავებული იყო საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემის საკითხით.

აღნიშნული ცვლილებები არაკონსტიტუციურად შეაფასა არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და გამოითქვა მზადყოფნა მის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით.[73] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს

---

[70] იხ. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/249653? [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[71] იხ. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/249639? [ბოლო ნახვა 28.11.2020].
[72] „საქართველოს ტყის კოდექსის“ (22/06/1999) მე-17 მუხლის პირველი ნაწილი.
[73] იხ. http://tdi.ge/ge/page/tolerantobis-da-mravalperovnebis-institutis-tdi-da-tbilisis-tavisupali-universitetis [ბოლო ნახვა 28.11.2020].

კანონის ის დებულება რომელიც სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.[74]

5.2. შობის ღამეს გამონაკლისის დაწესება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 2020 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათი (21:00 საათიდან 05:00 საათამდე) დაწესდა, რომლიდანაც გამონაკლისი იქნება 31 დეკემბრის (ახალი წლის) და 6-7 იანვრის (შობის) ღამე.[75] აღნიშნულთან დაკავშირებით ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა: „...იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელია და შობას აღნიშნავს 6-დან 7 იანვარს ღამეს, ამ შეზღუდვიდან იყო აღებული გამონაკლისი. [ეს შეზღუდვა] მოხსნილი იყო ამ დღეს იმიტომ, რომ ეს საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ეხებოდა, რადგან ეს პრაქტიკულად ყველას ეხებოდა".[76]

დაწესებული კომენდანტის საათიდან გამონაკლისის მხოლოდ 6 იანვრის ღამეს დაშვება წარმოადგენს რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციას. ვიცე-პრემიერის განცხადება კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება გადაწყვეტილებებს მხოლოდ უმრავლესობის პერსპექტივიდან იღებს და რელიგიურ უმცირესობებს თანასწორუფლებიან მოქალაქეებად არ აღიქვამს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამოქალაქო პლატფორმამ „არა-ფობიას!“ განცხადება გაავრცელა და საქართველოს მთავრობას სეკულარიზმის, თანასწორობის და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვით მოქმედებისა და ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე თანაბარი წესის გავრცელებისკენ, ასევე - მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებამდე რელიგიური ორგანიზაციების ფართო სპექტრთან კონსულტაციების გავლისკენ მოუწოდა.[77]

5.3. ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რესტავრაცია

რამდენიმე თვის წინ ქალაქ მარნეულში ვნებათაღელვამ იმატა ბოლშევიკი მწერლისა და რევოლუციონერის ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის გარშემო, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ მას რესტავრაცია ჩაუტარა.[78] აღნიშნულთან დაკავშირებით თვეების განმავლობაში მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი და ულტრაკონსერვატიული ჯგუფები აწარმოებდნენ შოვინისტურ კამპანიას. 16 ივლისს მარნეულში ზემოხსენებული პირების/ჯგუფების მონაწილეობით ძეგლის აღების მოთხოვნით აქცია გაიმართა.[79]

---

[74] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[75] იხ. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=77898 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[76]იხ.https://formulanews.ge/News/41065?fbclid=IwAR3NTA5D-sFYDhg9cnbDkoAdoc4BdnrOd4qhRizbC6BvfsJ-WfATD1pDTpc [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[77] იხ. https://gdi.ge/ge/news/ara-fobias-gancxadeba-28-11-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[78] იხ. https://bit.ly/3qAxCpw [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[79] იხ. https://netgazeti.ge/news/468188/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები, არც სიტუაციის გამწვავებამდე და არც მას შემდეგ, არ გადაუდგამს. 17 ივლისს GDI-მ და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებული უკმაყოფილების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად მთავრობას მიმართეს და მას პოლიტიკური პროცესის (სამუშაო ჯგუფის) შექმნისკენ მოუწოდეს.[80]

5.4 სიძულვილის ენა/ქსენოფობია პანდემიის პირობებში

საქართველოში კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, სამწუხაროდ, გახშირდა სიძულვილის ენის გამოყენება. კერძოდ, მარნეულსა და ბოლნისში საკარანტინო ზონის გამოცხადების შემდეგ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი სოციალურ მედიაში გაკეთდა დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ[81]. აღსანიშნავია, რომ ქსენოფობიური განცხადებების ავტორები საჯარო პირებიც იყვნენ. კერძოდ, სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის" დირექტორის, ზაალ აბაშიძის ფეისბუქ პროფილით გაკეთებული კომენტარები შეიცავდა მარნეულისა და ბოლნისის მაცხოვრებელთა ჩაკეტვისა და ამოხოცვის მოწოდებას, გინებას და მათ ვირუსის პოტენციურ გამავრცელებლებს და მკვლელებს უწოდებდა[82]. ქსენოფობიური ხასიათი ჰქონდა ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის განცხადებას, რომელიც სოფელ მუშევნის მოსახლეობასა და ექიმებს შორის კონფლიქტს მუსლიმ სასულიერო პირებს უკავშირებდა[83]. გარდა ამისა, კორონავირუსის კონტექსტში „მთავარი არხის" ჟურნალისტმა საავტორო გადაცემაში გააკეთა არმენოფობიური განცხადება, რომ სომხური გენი ქართულზე ძლიერია და ვირუსს ანადგურებს[84].

GDI გმობს ქსენოფობიურ განცხადებებს. სიძულვილის ენა ხელს უწყობს დისკრიმინაციული განწყობების გამყარებას და ხელს უშლის ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას. იგი განსაკუთრებით უარყოფითად აისახება უმცირესობათა წარმომადგენლების თანასწორ მოპყრობაზე. მათ წინაშე არსებული სისტემური პრობლემების გათვალისწინებით, ვირუსის ფონზე გამოვლენილი ქსენოფობია კიდევ უფრო აფერხებს უმცირესობათა ინტეგრაციას და საზოგადოების გაერთიანებას ვირუსით გამოწვეული კრიზისის წინააღმდეგ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ, საჯარო პირებმა, მედიამ და მთლიანად საზოგადოებამ არ გამოიყენონ სიძულვილის ენა და იმოქმედონ თანასწორობის მხარდაჭერის კვალდაკვალ.

6. პანდემია და ადამიანის უფლებები

---

[80] იხ. https://gdi.ge/ge/news/narimanovis-dzegli-17-07-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[81] იხ: https://www.gdi.ge/ge/news/ara-fobias-25-03-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[82]იხ: https://www.gdi.ge/ge/news/ara-fobias-03-05-2020.page http://www.tabula.ge/ge/story/170562-xelnatserta-centris-direqtori-marneulze-unda-chaketo-sofelshi-da-amoixocon-k-ebjonnoj [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[83]იხ: http://www.tabula.ge/ge/story/170552-gamkrelidze-mushevanze-mogvces-informacia-titqos-mati-mola-da-mufti-tamashobs-cud-rols https://www.gdi.ge/ge/news/ara-fobias-03-05-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[84] იხ: https://www.gdi.ge/ge/news/ara-fobias-07-04-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

GDI-მ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მთავრობის მიერ COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით მიღებული რეგულაციების ანალიზის შედეგად გამოავლინა, რომ საგანგებო მდგომარეობამდე პერიოდში მიღებული ზომები მეტწილად აკმაყოფილებდა თანაზომიერების პრინციპს და შემზღუდველი ღონისძიებები იყო პროპორციული, თუმცა მათ ჰქონდა ფორმალური კონსტიტუციურობის პრობლემა. კერძოდ, საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა უფლებამოსილება, მიეღო კონსტიტუციური უფლების (მაგალითისთვის, მიმოსვლის თავისუფლების) შემზღუდველი კანონქვემდებარე აქტები. ამასთან, მიუხედავად მათი ნორმატიული შინაარსისა, საქართველოს მთავრობამ ზოგიერთი აქტი განკარგულების (ინდივიდუალური აქტის) სახით გამოსცა.[85]

უფრო სერიოზული პრობლემები გამოიკვეთა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან, ასევე - საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში მიღებულ ზომებთან მიმართებით, რომელთა უმეტესობასაც ჰქონდა კონსტიტუციურობის პრობლემა.[86] განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ გამოიკვეთა აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ფართო დისკრეციის მინიჭების საკითხი (ასევე სუბდელეგირების პრობლემა), რამაც ერთი მხრივ შექმნა განჭვრეტადობის პრობლემა და საფრთხე შეუქმნა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, მეორე მხრივ კი გაზარდა თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები. ამავდროულად, ამგვარმა მიდგომამ დაარღვია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.[87] თითოეულ უფლებასთან მიმართებით ანალიზი დეტალურად წარმოდგენილია 23 ოქტომბერს გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რაც კვლევის საბოლოო შედეგში კიდევ უფრო ვრცლად იქნება ასახული.[88]

საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ, ზაფხულის პერიოდში შეზღუდვების რაოდენობამ და მასშტაბმა მნიშვნელოვნად იკლო, რაც მისასალმებელია, თუმცა, შემოდგომიდან მთავრობამ კვლავ გაამკაცრა რეგულაციები. მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, რაც უპირველესად ჯანდაცვის სისტემის მოუმზადებლობითაა გამოწვეული, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა შეზღუდვებთან დაკავშირებით კვლავ არათანმიმდევრული, დისკრიმინაციული და არაეფექტურია.[89]

7. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება

---

[85] იხ. https://gdi.ge/ge/news/demokratia-da-adamianis-uflebebi-pandemiis-da-sagangebo-mdgomareobis-pirobebshi.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[86] *იქვე*

[87] *იქვე*

[88] უკვე რამდენიმე თვეა სამი არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) ახორციელებს პროექტს „დემოკრატია და ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში". აღნიშნული პროექტი, მათ შორის, მოიცავს საქართველოს მთავრობის მიერ ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა ანალიზსს. 23 ოქტომბერს კვლევაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს შუალედური დოკუმენტი, რომლის II ნაწილი სწორედ საქართველოს ხელისუფლების მიერ პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობას შეეხება. კვლევის შუალედური დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/1/1251.pdf

[89] იხ. https://www.gdi.ge/ge/news/gdi-isfed-hrc-da-ti-is-gancxadeba-komendantis-saatis-shemogebastan-dakavshirebit.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

7.1. კონსტიტუციური კონტროლის არაეფექტურობა

სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ინსტრუმენტული გარანტია, რომელიც წარმოადგენს დანარჩენი უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვისა და რეალიზების მექანიზმს[90]. სამართლიანი სასამართლოს უფლებით და, შესაბამისად, სხვა უფლებებით სარგებლობისათვის არსებითია სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ვინაიდან სწორედ სასამართლოა ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც წყვეტს სამართლებრივ დავებს და ახორციელებს სამართალწარმოებას. სასამართლომ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა პანდემიის პირობებში, რადგან ვირუსის წინააღმდეგ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს და მის შემდეგ მიღებული რეგულაციებით შეიზღუდა მთელი რიგი ძირითადი უფლებები.

ამ კუთხით ყველაზე აქტიური როლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეესრულებინა. მისი დროული რეაგირება კრიტიკული მნიშვნელობის იყო უფლებათა დარღვევის პრევენციისა და შეზღუდვის სტანდარტის დადგენისათვის, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ნორმები ხშირად იცვლება ან ძალადაკარგულად ცხადდება, რაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია და შეუძლებელს ხდის სადავო ნორმის შეფასებას და დარღვეული უფლების აღდგენას[91]. აღნიშნულის საპირისპიროდ, ბოლო წელს სასამართლოში წარმოებული საქმეების სტატისტიკა მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეასრულა მასზე დაკისრებული კონსტიტუციური ვალდებულებები. კერძოდ გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციურ სარჩელებზე რეაგირების მაჩვენებელი 15 აპრილიდან 15 ივნისამდე 90% იყო[92], მაგრამ 15 ივნისის შემდეგ შეტანილ 6 სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს საერთოდ არ ჰქონია რეაგირება[93], ხოლო 15 ივნისამდე არსებითად განსახილველი სარჩელებიდან არცერთი არ გადაუწყვეტია[94].

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციურ სარჩელებზე რეაგირების დინამიკის ვარდნა საეჭვოდ ემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლოს 2 ახალი წევრისა და ახალი თავმჯდომარის არჩევას. კერძოდ, 2020 წლის 3 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი დაინიშნა[95]. პლენუმმა არ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდება, რომ საკონტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ აერჩია საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც საზოგადოებას რეალურად არ შეეძლებოდა პროცესზე დაკვირვება და კონტროლის განხორციელება[96]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის პოზიცია ვაკანტური გახდა 2019 წლის 5 დეკემბერს, მაგრამ

---

[90] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პ.2.

[91] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „კოვიდ-19 და კონსტიტუციური კონტროლი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება“, გვ. 5, 6, იხ: https://idfi.ge/ge/covid_19_and_constitutional_review [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[92] იქვე, გვ. 8.

[93] იქვე, გვ. 8, 9, 17.

[94] იქვე, გვ. 8, 9, 17.

[95] იხ: http://www.supremecourt.ge/news/id/2062 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[96] https://www.gdi.ge/ge/news/gancxadeba-03-04-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

უზენაესმა სასამართლომ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ახალი მოსამართლე არ დანიშნა[97]. ეს ფაქტი აჩენს ეჭვს, რომ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ხვიჩა კიკილაშვილის არჩევა ემსახურებოდა არა საკონსტიტუციო სასამართლოს შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფას, არამედ საზოგადოებრივი კონტროლისგან თავის არიდებას[98]. გარდა ამისა, 29 მაისს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი ახალი მოსამართლე, ვასილ როინიშვილი დანიშნა[99]. ამ შემთხვევაშიც შერჩევის პროცესი იყო გაუმჭვირვალე, კერძოდ, მოსამართლის არჩევამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო მოსამართლის კანდიდატურა[100] და რეალურად ამ საკითხზე დისკუსია არ გამართულა[101]. გარდა ამისა, ივნისში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯომარედ მერაბ ტურავა, მის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ კი ერთი კვირის არჩეული ვასილ როინიშვილი დაინიშნა[102]. აღსანიშნავია, რომ სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას კოლეგიის/პლენუმის სხდომის თარიღის დანიშვნაზე[103]. ამასთან, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით შეტანილ ძირითად სარჩელებს განიხილავს პლენუმი, მოქმედ შეზღუდვებზე სარჩელები კი განაწილებულია პირველ კოლეგიაზე[104]. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პლენუმის და პირველი კოლეგიის თავმჯდომარეებს შეუძლიათ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების განხილვის დინამიკაზე არსებითი გავლენა მოახდინონ. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ამ თანამდებობებზე საკადრო ცვლილებების შემდეგ სასამართლოს რეაგირება კორონავირუსთან დაკავშირებულ სარჩელებზე შემცირდა. კერძოდ, სასამართლომ ივნისში ერთი საოქმო ჩანაწერი მიიღო[105], მხოლოდ სამი საოქმო ჩანაწერი მიიღო ნოემბერში[106], თუმცა ამ საქმეებიდან ჯერ არც ერთი გადაუწყვეტია[107]. აქედან გამომდინარე, ჩნდება

---

[97] იქვე.

[98] იქვე.

[99] იხ: https://bit.ly/33jgaw2 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[100] იხ: https://bit.ly/33jgaw2 https://bit.ly/2V2sDiV [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[101] იხ: https://bit.ly/3nW1Tx3 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[102] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „კოვიდ-19 და კონსტიტუციური კონტროლი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება“, გვ 11, იხ: https://idfi.ge/ge/covid_19_and_constitutional_review [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[103] იქვე, გვ 14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

[104] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „კოვიდ-19 და კონსტიტუციური კონტროლი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება“, გვ. 13, იხ: https://idfi.ge/ge/covid_19_and_constitutional_review [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[105] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის N1/9/1505 საოქმო ჩანაწერი საქმეზე "პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[106] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის N1/13/1516, N1/12/1515, N1/14/1529 საოქმო ჩანაწერები შესაბამისად საქმეებზე "ლიკა საჯაია და ედუარდ მარიკაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", "ედუარდ მარიკაშვილი და გიორგი ჩიტიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", "პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[107] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „კოვიდ-19 და კონსტიტუციური კონტროლი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება“, გვ. 14, 17, იხ: https://idfi.ge/ge/covid_19_and_constitutional_review [ბოლო ნახვა 06.12.2020].

კითხვის ნიშნები და ეჭვი, რომ (გაუმჭვირვალე) საკადრო ცვლილებებით მიზანმიმართულად ხელი ეშლება კონსტიტუციური კონტროლის დროულად განხორციელებას ანდა სასამართლომ დაკარგა ეფექტური რეაგირების შესაძლებლობა[108]. საბოლოოდ, კონსტიტუციური სარჩელების განხილვის დროში გაწელვა აზრს უკარგავს სასამართლოსათვის მიმართვას, აფერხებს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას და, შესაბამისად, სხვა ძირითადი უფლებების დაცვას.

7.2. საარჩევნო დავების განხილვა საერთო სასამართლოებში

სასამართლო სისტემაში 2020 წელს დადგა არა მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის, არამედ საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელ ოქმებზე საერთო სასამართლოებში შეტანილი სარჩელების გადაწყვეტის პრობლემაც. კერძოდ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ საერთო სასამართლოებში წარადგინა სარჩელები, რომლითაც ისინი ითხოვდნენ შემაჯამებელი ოქმების კანონიერების შემოწმებას და კენჭისყრის შედეგების გადათვლას[109]. აღსანიშნავია, რომ სარჩელების უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა[110], ხოლო მათი განხილვის პროცესში, სამწუხაროდ, დაფიქსირდა უარყოფითი ტენდენციები. შეინიშნებოდა, მაგალითად, საარჩევნო კომისიების სასარგებლოდ სასამართლოს მიერ მიკერძოება, როდესაც მოსამართლეები ძირითადად ემხრობოდნენ კომისიების პოზიციებს მათი დაუსაბუთებულობის მიუხედავად[111]. თავად სასამართლოს გადაწყვეტილებებიც არასაკმარისად დასაბუთებული და შაბლონური იყო, ხოლო მათი ჩაბარება ხდებოდა დაგვიანებით, რაც ხელს უშლიდა ზემდგომ ინსტანციაში მათ გასაჩივრებას[112]. აღნიშნული ხარვეზები უარყოფითად აისახება სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობაზე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

7.3. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები და სამართლიანი სასამართლოს უფლება

კარტოგრაფების საქმე

2020 წლის 7 ოქტომბერს აზერბაიჯანისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული ქმედების საქმეზე დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ყოფილი წევრები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავეს.[113] გამოძიება გენერალურ პროკურატურაში ამავე წლის 17 აგვისტოს დაიწყო[114] თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვის საფუძველზე. GDI ამ

---

[108] იქვე, გვ. 15, 18.

[109]იხ: https://gyla.ge/ge/post/saia-s-saarchevno-davebis-shedegebi-sasamartloshi-gasachivrebul-ubnebze#sthash.Mz0hg2af.dpbs http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-sasamartloshi-tsardgenili-sarchelebis-gankhilvis-shedegebi [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[110] იქვე.

[111]იხ: http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/ISFED-is-mier-sasamartloshi-tsardgenili-sarchelebis-gankhilvis-shedegebi [ბოლო ნახვა 06.12.2020].

[112] იქვე.

[113] იხ. https://netgazeti.ge/news/487956/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[114] *იქვე*

საქმეში პირველივე დღეებიდან ჩაერთო და დღემდე აგრძელებს ივერი მელაშვილის სამართლებრივ დახმარებას.

ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას ბრალი ედებათ საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენაში, მიმართულს საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ (სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული). ბრალდების მხარის პოზიციით, ივერი მელაშვილმა და ნატალია ილიჩოვამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დემილიტაციისა და დემარკაციის პროცესში (1996-2007 წლებში), საქართველოს პოზიციების ამსახველი 1:50 000 მასშტაბის რუკის ალბომების შედგენისას იხელმძღვანელეს ისეთი რუკებით, რომლებიც ქართული მხარის ინტერესების საზიანოდ წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ რელევანტურ მასალებთან, რომლებსაც ისინი ფლობდნენ. შედეგად, მათ მიერ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მომზადებული რუკის ალბომები გაიცვალა ორ სახელმწიფოს შორის და 2007 წლის ჩათვლით არსებული შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში მოქცეული ტერიტორიის ნაწილი (ჯამურად დაახლოებით 34.8 კვ.კმ) საქართველოს საზიანოდ შეთანხმდა აზერბაიჯანულ მხარესთან.

პროკურატურა, როგორც ბრალდების შესახებ შედგენილ დადგენილებაში, ასევე საჯარო განცხადებების გავრცელების დროს, ცდილობს მანიპულაციურად მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია როგორც, გამოყენებული და გამოსაყენებელი რუკების, ისე - შეთანხმებული და შეუთანხმებელი სასაზღვრო მონაკვეთების შესახებ. ბრალდების არცერთი ეპიზოდი არ ეხება 2007 წლის შემდეგ პერიოდს.

რეალურად, სახელმწიფოთა ინტერესების წარმომადგენელი კომისიების სამუშაო შეხვედრაზე ქართული მხარე მისთვის ყველაზე მომგებიანი პოზიციით (გამოსაყენებელ რუკებთან დაკავშირებით) წარსდგა. ხოლო, არსებითად მცდარია ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ნატალია ილიჩოვა მიზანმიმართულად მალავდა 1932-33 წლებში შედგენილი და 1937-38 წლებში დაბეჭდილი 1:200 000 მასშტაბის მქონე რუკებს. ინფორმაცია, იმის შესახებ, თითქოს აღნიშნული ხარვეზიანი და უზუსტობების შემცველი 1:200 000 მასშტაბის მქონე რუკა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში აქცევდა დავით გარეჯის კომპლექსში შემავალ მონაკვეთებს, ასევე მანიპულაციური და შეცდომაში შემყვანია.

გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები ამძაფრებს განცდას მიკერძოებული სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ. აღნიშნულ ეჭვს ამყარებს, როგორც თავად გამოძიების დაწყების წინარე პერიოდი და ის განცხადებები, რომელიც მეზობელ სახელმწიფოსთან საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდან, ასევე - ზოგადად, ბრალდების მხარის სამართლებრივ არგუმენტაციას მოკლებული პოზიცია.

სასამართლომ ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას აღკვეთის სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.[115] გარდა იმისა, რომ მთელი ეს პროცესი ფორსირებულ რეჟიმში მიმდინარეობდა და დაცვის მხარისათვის მასალების გადაცემიდან არაგონივრულად მცირე დროში ჩაინიშნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე სასამართლო სხდომა, როგორც ბრალდების მხარის არგუმენტაცია გამოსაყენებელ აღკვეთის

[115] იხ. https://bit.ly/2Js1x2s [ბოლო ნახვა 28.11.2020].

ღონისძიებასთან დაკავშირებით, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, მოკლებული იყო სამართლებრივ არგუმენტაციასა და დასაბუთებას.

30 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი პატიმრობაში დატოვა.[116] დაცვის მხარე ბრალდებულების პირადი თავდებობით გათავისუფლებას მოითხოვდა.[117] აღსანიშნავია, რომ ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილს პირად თავდებში დაახლოებით 200 ადამიანი უდგებოდა, მათ შორის, პოლიტიკოსებიც.[118] სასამართლოს განჩინება კვლავ დაუსაბუთებელი იყო. მან არც დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ახალი დასკვნა გაითვალისწინა, რომლითაც დასტურდება, რომ რუკები, რომლის გამოუყენებლობასაც ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას ედავებიან, უვარგისია.[119]

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულების და მათი უფლებადამცველების მიმართ მიმდინარეობს საინფორმაციო იერიში, რასაც, მათ შორის, თან ახლავს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა. ასევე, აღსანიშნავია, რომ იკვეთება საქმის ზოგიერთი ფიგურანტის კავშირი რუსეთის სპეცსამსახურებთან.

გიორგი რურუას საქმე

კვლავაც პატიმრობაში რჩება „მთავარი არხის“ მეწილე გიორგი რურუა, რომელიც 2019 წლის 18 ნოემბერს, აქციის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს (მოგვიანებით მის ბრალდებას დაემატა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა).[120] 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი რურუა წარდგენილი ორივე ბრალდების ნაწილში დამნაშავედ სცნო და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.[121] აღსანიშნავია, რომ გიორგი რურუა ფინანსურად ეხმარებოდა და მხარს უჭერდა მოძრაობა „სირცხვილიას“[122]. აღნიშნული მოძრაობა კი „ქართული ოცნების“ მიერ გაცემული საჯარო დაპირების შეუსრულებლობის, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ჩაგდების შემდეგ ნოემბრის საპროტესტო აქციებში აქტიურად იყო ჩართული და უწევდა მათ ორგანიზებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს გიორგი რურუას საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას არსებითად იქნა დარღვეული

---

[116] იხ. https://bit.ly/3lLa9yj [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[117] იქვე

[118] იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/631387-iveri-melashvili-da-natalia-ilichova-kvlav-patimrobashi-rchebian/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[119] იხ. https://bit.ly/3qAoTng [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[120] იხ. http://www.tabula.ge/ge/story/175765-sasamartlom-giorgi-rurua-damnashaved-cno-da-4-tsliani-patimroba-miusaja; [ბოლო ნახვა 28.11.2020].https://transparency.ge/ge/post/sasamartlos-megobris-mosazreba-giorgi-ruruas-braldebis-sakmestan-dakavshirebit

[121] იხ. https://bit.ly/39fJd7g [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[122] *იქვე*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩატარდა გიორგი რურუას ავტომანქანის ჩხრეკა, ასევე - გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე დაირღვა გიორგი რურუას დაცვის უფლება და უსაფუძვლოდ დაუმძიმდა მას ბრალი.[123] 31 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამართალწარმოების პერიოდში გამოვლენილი დარღვევები და არსებული კონტექსტი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ გიორგი რურუას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი პოლიტიკურად მოტივირებულია.[124] განცხადებაში, მათ შორის, საუბარია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ რურუას საქმეზე ჩატარებული სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგზე, რომლითაც გამოიკვეთა, რომ გიორგი რურუას, პირადი ჩხრეკისა და სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას არამართლზომიერად შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.[125]

აღსანიშნავია, რომ გიორგი რურუას გათავისუფლება 8 მარტის შეთანხმების ნაწილს წარმოადგენდა. მისი პატიმრობა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფართო ოპოზიციური სპექტრის გარდა, კრიტიკულად იქნა შეფასებული საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, აშშ-ის სენატორებისა და ევროპარლამენტარების მიერ[126]. ყოველივე ამის მიუხედავად, გიორგი რურუა კვლავ პატიმრობაში რჩება.

ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალების საქმე

ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თედორე გობეჯიშვილის გარდაცვალების საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი პირი - ცესკოს სწავლების ყოფილი სპეციალისტი, აკაკი ხუსკივაძე და 2020 წლის არჩევნების ერთ-ერთი დამკვირვებელი, აკაკი კობალაძე დააკავა.[127] დაკავებულებს ბრალი ედებათ გარდაცვლილი თედორე გობეჯიშვილის მიმართ ქრთამის მიცემა, მუქარა და იძულება.[128] შსს-ს განცხადებით, მათ თედორე გობეჯიშვილს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით, ფულის სანაცვლოდ არჩევნების გაყალბების თაობაზე განცხადების გაკეთება შესთავაზეს, უარის მიღების შემდეგ კი მას ანგარიშსწორებით დაემუქრნენ და აიძულებდნენ შეთავაზებას დათანხმებოდა.[129] როგორც აკაკი ხუსკივაძეს, ასევე - აკაკი კობალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.[130]

---

[123] იხ. https://transparency.ge/ge/post/sasamartlos-megobris-mosazreba-giorgi-ruruas-braldebis-sakmestan-dakavshirebit [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[124] იხ. https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-31-07-2020.page [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[125] *იქვე*

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ გიორგი რურუას საქმესთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტი იხ. http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/RURUA-case-geo-f.pdf [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[126] იხ. https://bit.ly/33j6eCI [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[127] იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/30936493.html [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[128] იხ. https://police.ge/ge/politsiam-tbilisshi-qrtamis-mitsemis-djgufurad-chadenili-idzulebisa-da-muqaris-braldebit-ori-piri-daakava/14112 [ბოლო ნახვა 28.11.2020].

[129] *იქვე*

[130] იხ. https://netgazeti.ge/news/497070/ [ბოლო ნახვა 28.11.2020].

აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი დაკავების წინა დღეს „მთავარი არხის" ეთერში არჩევნების გაყალბების სქემაზე საუბრობდა, ასევე - მათ დაკავებას იმავე დღეს წინ უძღოდა „ქართული ოცნების" ოფისში ბრიფინგი, სადაც პარტია „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისნის საოლქო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალება პარტია „ნაციონალურ მოძრაობას" დაუკავშირა და სამართალდამცველებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისკენ მოუწოდა. აღნიშნული გარემოებები აჩენს ეჭვებს ამ საქმის პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადვოკატის განცხადებით, ორივე მათგანს გარდაცვლილ თედორე გობეჯიშვილთან მეგობრული კავშირი ჰქონდათ.[131]

7.4. გამოძიებასთან დაკავშირებული ხარვეზები

2020 წლის ისეთმა გახმაურებულმა საქმეებმა, როგორიცაა გიორგი შაქარაშვილის საქმე და თამარ ბაჩალიაშვილის საქმე, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საგამოძიებო ორგანოებში დანაშაულის პრევენციასთან ერთად კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს ჩადენილი შესაძლო დანაშაულის სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით. ხარვეზების სიმრავლე და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა, თავისთავად ბადებს ეჭვს საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმართვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებმა გამოიჩინონ სათანადო კომპეტენცია, ნება და არ დატოვონ/გააჩინონ ისეთი კითხვები, რომელთა პასუხგაუცემლობა პირდაპირ თუ ირიბად გააჩენს სამართლიან განცდას, რომ ადგილი აქვს ამ საქმეებში გარე ძალების ჩარევას.

განსაკუთრებით სავალალოა ბოლო პერიოდში გაზრდილი ყაჩაღობის, მძევლად ხელში ჩაგდების თუ ტერორისტული აქტების შემთხვევები, რაც უპირველესად სწორედ საგამოძიებო ორგანოების არაეფექტიანი მუშაობითაა გამოწვეული. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ზუგდიდში 21 ოქტომბერს განვითარებული მოვლენები, როცა ბანკში შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა, მძევლები აიყვანა და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ დიდი ოდენობით თანხა მიიღო, რის შემდეგაც მიიმალა[132], ხოლო მისი დაკავება ამ დრომდე არ მომხდარა.

---

[131] *იქვე*

[132] იხ. https://bit.ly/2VdHRlq [ბოლო ნახვა 28.11.2020].